



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

29 დეკემბერი 2023



N 757/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტინისხიდში შპს „ინერტი 2022“-ის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ინერტი 2022“-ის მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტინისხიდში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემი) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

2023 წლის 30 ნოემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტინისხიდში განთავსებული შპს „ინერტი 2022“-ის კუთვნილი სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისათვის განკუთვნილი საპროექტო ტერიტორიის დათვალიერება. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიამ საწარმოო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები განახორციელა „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე, რის საფუძველზეც კომპანიის მიმართ 2023 წლის 1 დეკემბერს „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №083087 ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით, განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოს ტერიტორია მდებარეობს გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტინისხიდში შპს „ბრაით როუდის“ საკუთრებაში არსებულ 14 500 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 66.44.03.461), რომელსაც შპს „ინერტი 2022“ ფლობს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. დოკუმენტის თანახმად, ვინაიდან, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული იყო შპს „ტინისხიდი-მტკვარის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემი) გადამამუშავებელი საწარმო, ტერიტორია ანთროპოგენურად სახეცვლილია. საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 590 მეტრით. უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. მტკვარი მიედინება საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 40 მეტრში, ხოლო უშუალოდ საწარმოს შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტებიდან დაშორებულია 50 მეტრზე მეტი მანძილით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო (GPS კოორდინატები: Y-422046.4243, Y-4648731.1922) წარმოდგენილია სამსხვრევ-დამხარისხებელი

დანადგარით, რომელიც აღჭურვილია სათანადო კომპლექტაციით: ბუნკერი; ყბებიანი (35 მ³/სთ), კონუსური (40 მ³/სთ) და ვერტიკალური (50 მ³/სთ) სამსხვრევები; ლენტური ტრანსპორტიორები; საცრელ-დამხარისხებელი დანადგარები; ნედლეულის, პროდუქციის და სალამე სასაწყობო მოედნები; სალექარი და საოფისე ჯიხური. ობიექტზე წლის განმავლობაში ხორციელდება 100 000 მ³ (160 000 ტ) ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამუშავება. საწარმო მუშაობს წელიწადში 250 დღე, დღე-ღამეში 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით და დასაქმებულია 5-8 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესი იწყება ლიცენზირებული კარიერიდან, ავტოთვითმცლელების მეშვეობით, საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შეზიდვით, რომელიც საწყობდება ბუნკერის მიმდებარე ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-422069.3241, Y-4648712.2572) და შემდგომ თვითდამტვირთველის საშუალებით იტვირთება ბუნკერში. ბუნკერიდან ნედლეული გადაინაცვლებს საცრელ-დამხარისხებელ დანადგარში, სადაც ხორციელდება ინერტული მასალის რეცხვა და წვრილი ფრაქციების გამოყოფა. მსხვილი ფრაქცია მიეწოდება ვერტიკალურ სამსხვრევს, უხეშად მსხვრევსთვის. დამსხვრეული მასალა გადაინაცვლებს საცრელ-დამხარისხებელ დანადგარში, საიდანაც 5 მმ-მდე დიამეტრის ფრაქცია ხვდება ღია სასაწყობო მოედანზე, 5-35 მმ დიამეტრის ფრაქცია მიეწოდება გამანაწილებელ ბუნკერს, ხოლო 35 მმ-ზე მეტი დიამეტრის ფრაქცია – ყბებიან სამსხვრევს, სადაც ხდება მისი წვრილ ფრაქციად დამსხვრევა და მეორე საცრელ-დამხარისხებელ დანადგარში გადატანა. აღნიშნული დანადგარიდან 0-5 მმ, 5-10 მმ, 10-20 მმ დიამეტრის პროდუქცია თავსდება ღია სასაწყობო მოედნებზე (GPS კოორდინატები: X-422064.1462; Y-4648779.9884), ხოლო მსხვილი ფრაქციის ღორღი (20-40 მმ და 40 მმ-ზე მეტი) გადადის კონუსურ სამსხვრევში. კონუსური სამსხვრევიდან, გამანაწილებელი ბუნკერის საშუალებით, მიღებული პროდუქცია თავსდება ღია სასაწყობო მოედნებზე. ინერტული მასალა სამსხვრევებსა და კლასიფიკატორებს შორის გადაიზიდება ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით. საწარმოში ქვიშა-ხრემის შესატანად და მიღებული პროდუქციის ობიექტიდან გასატანად გამოიყენება არსებული შიდა გზები. სატრანსპორტო ოპერაციების სავარაუდო რაოდენობა შეადგენს 8-10 გადაზიდვას დღეში, რაც ხორციელდება ძარაგადახურული ავტოთვითმცლელების მეშვეობით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წყლის გამოყენება ხორციელდება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. ობიექტის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხდება ბუტილირებული სახით, ხოლო საწარმოო დანიშნულებით წყალაღება ხორციელდება მდ. მტკვრის პირას ხელოვნურად მოწყობილი გუბურიდან, რომლის მოცულობა შეადგენს დაახლოებით 2-3 მ³-ს. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-422034.80, Y-4648633.56. წყალაღება ხდება ტუმბოს საშუალებით, საიდანაც აღებული წყალი, პოლიეთილენის მილით, მიეწოდება სამსხვრევ-დამხარისხებელ დანადგარს. 100 000 მ³ ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამუშავებისთვის საჭიროა წელიწადში დაახლოებით 50 000 მ³ - 100 000 მ³ წყალი. ამასთან, წელიწადში დაახლოებით 2000-3000 მ³ წყლის გამოყენება ხდება საწარმოს ტერიტორიისა და მისასვლელი გზის ამტვერების საწინააღმდეგო ღონისძიებებისათვის. დოკუმენტის თანახმად, ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა დამოკიდებულია გადასამუშავებელი ინერტული მასალის მდგომარეობაზე. 100 000 მ³ წყალი გამოყენებული იქნება მშრალი ინერტული მასალის შემთხვევაში, ხოლო 50 000 მ³ – სველი ინერტული მასალის შემთხვევაში. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი, საწარმოო მოედანზე მოწყობილი ღარების საშუალებით, იკრიბება სამკამერიან, ჰორიზონტალურ სალექარში (თითოეული კამერის მოცულობა – 50x4x3 მ), სადაც საწარმოო ჩამდინარე წყლებში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია 700-800 მგ/ლ-დან დაიყვანება 60 მგ/ლ-მდე. სალექარი განთავსებულია 122 მეტრი სიგრძის მქონე წყალგამტარ არხზე, რომლის საშუალებითაც გაწმენდილი წყალი ჩაედინება მდ. მტკვარში. წყალჩაშვების წერტილი GPS

კოორდინატები: X-422002.6000 Y-4648603.5500. სალექარის პარამეტრები და მასში დაგროვილი წყლის რაოდენობა საშუალებას იძლევა, მექანიკური დალექვის შემდგომ, მოხდეს აღნიშნული წყლის საწარმოო მიზნებისათვის ხელმეორედ გამოყენება. გაწმენდილი წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვება ხდება მხოლოდ ჭარბი წყლის რაოდენობის წარმოქმნის შემთხვევაში, რაც წლიურად შეადგენს არაუმეტეს 60 000 მ³-ს. დოკუმენტის თანახმად, საწარმოს ტერიტორია დაფარულია 10-20 სმ სისქის ღორღის სადრენაჟო ფენით, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების გაფილტვრას და წყლის დრენაჟს. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვისთვის მოწყობილია 5 მ³ მოცულობის წყალგაუმტარი ორმო (X-422014.1230 Y-4648736.2838), რომლის განტვირთვა ხდება შევსების შესაბამისად, ხელშეკრულების საფუძველზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ზედაპირული წყლის ობიექტზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის გამოყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილია საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება, იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები და აღნიშნული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობრივი მაჩვენებლები. აღსანიშნავია, რომ ობიექტზე ქვიშა-ხრემის გადამუშავება ხორციელდება სველი მეთოდით, რაც უზრუნველყოფს მსხვრევის დროს წარმოქმნილი მტვრის ნაწილაკების რაოდენობის შემცირებას. დოკუმენტის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის მიწისპირა კონცენტრაცია, როგორც 500 მეტრიანი რადიუსის მანძილზე, ისე უახლოეს მოსახლესთან, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ ნორმებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა ტექნოლოგიურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. დოკუმენტში წარმოდგენილია ობიექტის ფუნქციონირების პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გავრცელების გაანგარიშების შედეგები, რომლის მიხედვით, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (დამორება 590 მეტრი) მოსალოდნელი ხმაურის დონე შეადგენს 24-26 დბა-ს. აღნიშნულიდან გამომდინარე, საწარმოს ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ობიექტის ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს ქ. გორის მუნიციპალური სამსახური, ხოლო სახიფათო ნარჩენები, შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სალექარში წარმოქმნილი შლამი დროებით თავსდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სალამე მოედანზე (GPS კოორდინატები: X-422019.1484; Y-4648696.9456) და გაუწყლოების შემდგომ, ნაწილის გამოყენება გათვალისწინებულია საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ორმოების ამოსავსებად, ხოლო ნაწილი გაიტანება სარეალიზაციოდ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმოს მოწყობილია ყოფილი ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი ობიექტის ტერიტორიაზე, რომელიც

ანთროპოგენურად სახეცვლილია. საწარმოს ტერიტორია დაფარულია ღორღის ფენით და თავისუფალია მცენარეული საფარისგან. ობიექტის ტერიტორიაზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს მიმდებარედ ანალოგიური ტიპის საწარმო ობიექტ(ებ)ი არ ფუნქციონირებს. აღნიშნულიდან გამომდინარე საწარმოს ექსპლუატაციით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა გორის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტინისხიდში შპს „ინერტი 2022“-ის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **არ დაეკვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ინერტი 2022“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ინერტი 2022“-ს და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ინერტი 2022“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

